

F-171  
1987

ISSN 0206-2674



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
ბრძანებათა და ინსტრუქციათა

# კ რ ე ბ უ ლ ი

## 4

# ს ბ ო რ ნ ი კ

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ МИНИСТЕРСТВА  
ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

თბილისი — 1987 — თბილისი



ISSN 0206-2674

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
ბრძანებათა და ინსტრუქციათა


# პ რ ე ბ უ ლ ი

## 4

# ს ბ ო რ ნ ი კ

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ МИНИСТЕРСТВА  
ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

თბილისი — 1987 — ТБИЛИСИ



7-5497



რედაქტორი ზ. ალადაშვილი

РЕДАКТОР З. АЛАДАШВИЛИ

ტექნოლოგიური დ. ბაკურაძე  
Техредактор А. БАКУРАДЗЕ

კორექტორები: ლ. დოლიძე,  
ბ. ჯვალისხვილი

Корректоры: Л. ДОЛИДЗЕ,  
Б. ДВАЛИШВИЛИ

გადაეცა ასაწყობად 10.387 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 3.487 წ.;  
ანაწყობის ზომა 6<sup>1</sup>/<sub>4</sub>×9; ქაღალდის ზომა 60×84; საბეჭდი თაბახი 2,25;  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 2,0.

შეჭვეთა № 169

უფ 10946

ტირაჟი 6000

უფახო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7  
Типография Министерства просвещения Грузинской ССР, ул. Нуцубидзе, № 7

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის კოლეგიის გადაწყვეტილება



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის  
დაწესებულებათა 1987 წლის სოციალისტურ ვალდებულებათა  
დამტკიცების შესახებ

27 იანვარი 1987 წელი

კოლეგიამ გადაწყვიტა:

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის დაწესებულებათა 1987 წლის სოციალისტურ ვალდებულებათა წარმოდგენილი პროექტი დამტკიცდეს (თან ერთგის).

კოლეგიის თავმჯდომარე,  
მინისტრი ნ. შ. ვასაძე

დამტკიცებულია

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1987 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებით

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის დაწესებულებათა 1987 წლის სოციალისტური ვალდებულებები

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის დაწესებულებები, ხელმძღვანელები რა სკკპ 27-ე და საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობების ისტორიული გადაწყვეტილებებით, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებებით, სკოლის, შესახებ პარტიისა და მთავრობის სხვა დადგენილებებით, იღებენ შემდეგ სოციალისტურ ვალდებულებებს:

— ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება განათლების სისტემის დაწესებულებათა შორის მე-12 ხუთწლედის მე-2 წლის დასაწყისითაა წარმატებით და გადაჭარბებით შესრულებისათვის, მთელი თავიანთი საქმიანობა წარმართონ სკკპ 27-ე ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობის გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით „ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის ძირითადი მიმართულებების შესახებ“ დასახული ამოცანების განხორციელების ნიშნით;

— განათლების ყველა რგოლის მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების მიზნით სახალხო განათლების, სისტემის ორგანიზაციებისა და დაწესებულებების კოლექტივების ყურადღება გაამახვი-

ლონ ორგანიზატორული მუშაობის სტილისა და მეთოდების გარდ-  
ქმნის დაჩქარებაზე, სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის განმტკუნ-  
ცებაზე, ბიუროკრატიზმისა და სხვა ნეგატიური მოვლენების დაძლე-  
ვაზე, სიახლისა და ძიების გავართობების საქმეში პედაგოგიური კო-  
ლექტივების ძალების დარაზმვაზე;

— გააძლიერონ ორგანიზატორული საქმიანობა საყოველთაო სა-  
შუალო განათლების კანონის განსახორციელებლად, სკოლის რეფორ-  
მის მოთხოვნათა შესაბამისად, შეიქმნათ და ცხოვრებაში გაატარონ  
პრაქტიკული ღონისძიებები განანგრძლივებული დღის სკოლების,  
ჯგუფებისა და სასკოლო ინტერნატების ქსელის შემდგომი მოწესრი-  
გებისა და განვითარებისათვის, აღმზრდელობით ჯგუფებში მუშაობის  
შინაარსის სრულყოფისათვის;

— განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილონ მოსწავლეთა კონ-  
ტინგენტის გეგმიური დავალებების შესრულებაზე, მიაღწიონ კონტინ-  
გენტის გეგმის შესრულებას: 1987—1988 სასწავლო წლისათვის დღის  
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჩააბან 833200 მოსწავლე, სკო-  
ლა-ინტერნატებში — 16 ათასი, ფიზიკური და გონებრივი ნაკლის მქო-  
ნე ბავშვთა სკოლა-ინტერნატებში — 2400 მოსწავლე, საღამოსა და  
დაუსწრებელ სკოლებში — 13 ათასი მომუშავე ახალგაზრდა, სკო-  
ლამდელი აღზრდის დაწესებულებებში — 140660 აღსაზრდელი, სას-  
კოლო ინტერნატებში — 2700 მოსწავლე, განანგრძლივებული დღის  
სკოლებსა და ჯგუფებში — 135115 აღსაზრდელი, დამხმარე სკოლებ-  
ში — 500 მოსწავლე;

— გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი მოსწავლეთა (აღსაზრდელ-  
თა) ჯანმრთელობის დაცვისა და საზოგადოებრივი კვების გაუმჯობე-  
რებისათვის. კვების ბლოკების მოწყობისა და სანიტარიული ნორმების  
დაცვისათვის, ცხელი კერძებით კვების ორგანიზაციის სრულყოფისა-  
თვის. მიიღონ ზომები სასკოლო სასადილოებსა და ბუფეტებში დასა-  
ჯდომი ადგილების 600-ით გაზრდისათვის;

— გააძლიერონ მუშაობა განათლების სისტემის დაწესებულებ-  
ების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, ეზო-ვარე-  
მოს სანამუშოდ მოვლისა და ესთეტიკური გაფორმებისათვის;

— შეიქმნათ სათანადო ღონისძიებანი ზოგადსაგანმანათლებლო  
სკოლების ქსელის გემაზომიერი სრულყოფისათვის. უზრუნველყონ  
1987 წლის გეგმით გათვალისწინებული ობიექტების და სახელმწიფო  
კაპიტალური დაბანდებით გათვალისწინებული ობიექტების საქსპლოა-  
ტაციოდ დროულად ჩაბარება, სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებით  
გამოყოფილი სახსრების ათვისება.

1987 წელს ექსპლუატაციაში შევა 40 ზოგადსაგანმანათლებლო  
სკოლა 26600 მოსწავლე-ადგილზე, სკოლამდელი აღზრდის 25 დაწე-  
სებულება 5200 ბავშვ-ადგილზე;

— ყოველმხრივ წაახლისონ და ხელი შეუწყონ საინიციატივო წესით სასკოლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა მშენებლობას კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, წარმოება-დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების მიერ;

— სრულყონ მუშაობა სწავლების ხარისხის ასამაღლებლად, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილონ მოსწავლეთა მიერ სასწავლო პროგრამების პრაქტიკული ნაწილის შესრულებაზე. პასუხისმგებლობით მოეკიდონ სწავლების მეოთხედური სისტემის განმტკიცებას, გადასაყვანი და დამამთავრებელი გამოცდების ჩატარებას; აღმოფხვრან მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში ლიბერალიზმი და ფორმალიზმი;

— გააუმჯობესონ ექვსწლიან ბავშვთა სწავლების ხარისხი, სათანადო სასწავლო-მატერიალური ბაზა, მეტი ყურადღება დაუთმონ პირველკლასელებთან მომუშავე მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებას;

— თანმიმდევრული ღონისძიებებით უზრუნველყონ სასწავლო პროგრამების, სახელმძღვანელოების, მეთოდური ლიტერატურის, თვალსაჩინოებისა და დიდაქტიკური მასალების სრულყოფა; ამ საქმეში მტკიცედ დანერგონ და ეფექტიანად გამოიყენონ კონკურსების გამოცხადება და ჩატარება;


— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლებისა“ და „საოჯახო ცხოვრების ეთიკისა და ფსიქოლოგიის“ სწავლებას; ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მასწავლებელთა თეორიული ცოდნის ღონის ამაღლებას, პროფესიულ დაოსტატებას, ტექნიკური წიგნიერების სრულყოფას, გაკვეთილის პროცესში აღმზრდელობითი პრინციპის წინ წამოეწვას;

— მიიღონ ზომები გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების საგამოცდო ბილეთებითა და ყველა საჭირო მასალით უზრუნველსაყოფად;

— სრულყონ სასკოლო პრაქტიკაში ნოვატორობის, შემოქმედებითი მუშაობისა და ძიების დანერგვა. ამ საქმეში განსაკუთრებით აამაღლონ ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების როლი;

— გააუმჯობესონ მეთოდური სამსახური ადგილებზე, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სწავლების, შინაარსის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად გარდაქმნას;

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მოსწავლეთა შრომით აღზრდას, პროფესიულ ორიენტაციას, საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლურ შრომაში მათ აქტიურ ბაზმას, მოსწავლეთა ტექნიკური შემოქმედების გაღრმავებას; ფართოდ შეისწავლონ და



პრაქტიკაში დანერგონ სახალხო განათლების მიერ ამ საქმეში <sup>დადგროვი</sup>  
ვილი გამოცდილება;

— გააძლიერონ მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურს-  
დამთავრებულთა, სკოლებში მიღებული შრომითი სწავლების პრო-  
ფილების, მიხედვით, შრომითი დასაქმების უზრუნველსაყოფად;


— ფართოდ გაშალონ ორგანიზაციული მუშაობა მოსწავლეთა სას-  
წავლო-საწარმოო მეურნეობების ქსელის გაფართოების მიზნით, გა-  
ნახორციელონ ქმედითი ღონისძიებები ზაფხულის არდადეგების  
დროს და მთელი სასწავლო წლის მანძილზე მუდმივმოქმედი საწარ-  
მოო ბრიგადებისა და რაზმების შრომის მაქსიმალური აღმზრდელო-  
ბითი ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად;

— ამ მიზნით გაზარდონ მოსწავლეთა სასწავლო-საწარმოო კომ-  
ბინატების რიცხვი 28-მდე, სასწავლო-საწარმოო მეურნეობებისა —  
114-მდე, დაწყებით კლასებში შრომითი სწავლების კაბინეტებისა —  
314-მდე, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო სახელოს-  
ნოებისა — 3050-მდე, მომსახურებითი შრომის კაბინეტებისა — 724-  
მდე, სასწავლო საამქროებისა — 157-მდე, სასკოლათაშორისო სახე-  
ლოსნოებისა — 82-მდე და სხვა;

— მოსწავლე ახლგაზრდობასთან იდეოლოგიური და მასობრივ-  
პოლიტიკური მუშაობა წარმართონ ზოგადსაგანმანათლებლო და პრო-  
ფესიული სკოლის რეგორმის მოთხოვნათა შესაბამისად; განსაკუთრე-  
ბული ყურადღება მიაქციონ სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების რო-  
ლის, ამაღლებას, მოსწავლეთა მიერ საზოგადოებრივი წესრიგის და-  
ცვასა და პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელების საქმეს;

— სისტემატურად იზრუნონ სასკოლო კომკავშირული, პიონერუ-  
ლი ორგანიზაციებისა და მოსწავლეთა კომიტეტების თვითმმართვე-  
ლობის, შემდგომი გაფართოების, მათი ინიციატივისა და ავანგარდული  
როლის ამაღლებისათვის;

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სკკპ და საბჭოთა ხალ-  
ხის რევოლუციურ საბრძოლო და შრომითს ტრადიციებზე მოსწავლე  
ახლგაზრდობის პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის საქ-  
მეს; გაატარონ ორგანიზაციული ღონისძიებები, რათა დიდი ოქტომბ-  
რის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავის აღსანიშნავად  
კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ ადგილებზე მუშაობა მოსწავლეთა  
შეგნებაში საბჭოთა ხალხის საგმირო საქმიებისადმი სიამაყის გრძნო-  
ბის აღზრდისათვის, მოამზადონ ისინი სოციალისტური სამშობლოს  
დაცვისათვის. ამ მიზნით გაკვეთილებზე და კლასგარეშე ღონისძიებე-  
ბის ჩატარებისას ფართოდ გაცნონ მოსწავლეებს დიდი ოქტომბრის  
სოციალისტური რევოლუციის ისტორიული მასალები, მხატვრული ნა-  
წარმოებები; უფრო აქტიურად ჩააბან მოსწავლეები სამხედრო-  
სპორტულ თამაშებში: „ცისკარი“ და „მართვე“. შექმნან სკოლებში



რევოლუციური დიდების მუზეუმები, განახლონ და გააფართოონ არსებული სტენდები, გალერეები; სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში ჩაატარონ დათვალეირებები, კონკურსები, დისპუტები და სხვა.

— გააძლიერონ მუშაობა დანაშაულისაკენ მიდრეკილების მქონე არასრულწლოვანთა და არაკეთილსამედო ოჯახების გამოსავლინებად, არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევათა აღრეული პროფილაქტიკისა და აღმოფხვრისათვის, სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის სრულყოფისათვის;

— განათლების სამინისტროს მთავარ ამოთვლით ცენტრთან ერთად სიტემატური და ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ დარგობრივ ამოთვლით ცენტრებსა და მათზე მიმავრებულ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს მოსწავლეების მიერ ამოთვლითი ტექნიკის დაუფლებისა და პროგრამისტ-ლაბორანტების მომზადების საქმეში;

— ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა შესაბამისად, სრულყოფნა სკოლამდელ დაწესებულებებში სწავლებისა და აღზრდის ორგანიზაცია;

— „აღზრდისა და სწავლების პროგრამის“ შესაბამისად, ყურადღება გაამახვილონ სკოლამდელ დაწესებულებებში მეთოდკაბინეტების მოწყობასა და ტექნიკური საშუალებებითა და თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალებით მათ აღჭურვაზე;

— უზრუნველყონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, სკოლამდელი აღზრდისა და სკოლისგარეშე დაწესებულებები უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე კადრებით;

— აამაღლონ პედაგოგიური კადრების ატესტაციის ხარისხი, დაიკვან ატესტაციაგასავლელთა დაწესებულები ნორმები შესაბამისი ციკლების მიხედვით ისე, რომ ატესტაციას დაუქვემდებარდეს არანაკლებ 10-11 თასი მუშაკი;

— განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის საკითხებს, ამ მიზნით აამაღლონ ფიზკულტურის ვაკეეთილის ჩატარების ხარისხი, გააუმჯობესონ „დილის გამამხნეველი ვარჯიშების“, მოძრავი თამაშების, გახანგრძლივებელი დღის რეჟიმის ჯგუფებში ყოველდღიური ერთსაათიანი ფიზკულტურული მეცადინეობებისა და ყოველთვიური „ჯანმრთელობისა და სპორტის“ დღეების ჩატარების ორგანიზაციის დონე; ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზკულტურელთა რაოდენობა გაზარდონ 610 თასამდე. გამოსაშვები კლასების ყველა მოსწავლე გახადონ მშთ ნიშნოსანი;

— მაღალორგანიზებულად ჩაატარონ ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებში;



— გაატარონ ორგანიზაციული ღონისძიებები, რათა 1-ლი ივლისისათვის მოამზადონ 86 დასახელების სასკოლო სახელმძღვანელო მილიონამდე ტირაჟით, ხოლო წლის ბოლომდე — საქართველოში და თვალსაჩინო-დიდაქტიკური ლიტერატურა მასწავლებელთა უზრუნველსაყოფად;

— განახორციელონ ღონისძიებანი „საქართველოს ისტორისა“ და „ჩვენი სამშობლოს“ ახალი სახელმძღვანელოების მომზადებისა და გამოცემისათვის;

— გაატარონ კონკრეტული ღონისძიებები, რათა ყველა მოსწავლეს ღრმად ჩაენერგოს წიგნების, სახელმძღვანელოების მოვლა-პატრონობის ჩვევები, იზრუნონ სკოლების საბიბლიოთეკო წიგნაღი ფონდის გაზრდისათვის;

— სათანადო ღონისძიებები გაატარონ 1987 წელს დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნებათა დროული და მიზნობრივი ათვისებისათვის;


— გააძლიერონ მუშაობა, რათა მიმდინარე წელს, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, სკოლამდელ, სკოლისგარეშე დაწესებულებებსა და სკოლა-ინტერნატებს მიეწოდოს 13700 ათას მანეთზე მეტი ღირებულების ინვენტარი, ავეჯი, თვალსაჩინო და ტექნიკური საშუალებები, სასწავლო და საყოფაცხოვრებო მანქანები, ავტომანქანები და ტრაქტორები, შეამცირონ მიმოქცევის ხარჯები საქონელბრუნვასთან შედარებით 2%-ით, მიიღონ 4000 მანეთის ოდენობის ზენორმატიული მოგება;

— პრაქტიკული დახმარება გაუწიონ სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს ორგანიზატორული მუშაობისა და მართვის, შინა-სასკოლო კონტროლისა და ხელმძღვანელობის გაუმჯობესების, პარტიისა და მთავრობის დირექტივების, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროების ბრძანებებისა და მითითებების განუხრელად შესრულების საქმეში;

— აამაღლონ მომთხოვნელობა სამინისტროს, აპარატში, სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებში, სკოლებსა და სხვა დაქვემდებარებულ დაწესებულებებში მოქალაქეთა განცხადებების, საჩივრებისა და წერილების, დადგენილი წესების დაცვით, განხილვისა და დასმული საკითხების დროულად გადაწყვეტისადმი;

— განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებები განათლების სამინისტროს სისტემის ყველა რგოლში საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებისათვის;

— საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწესებულებების მუშაკებს მტკიცედ აქვთ შეგნებული, სახალხო განათლების დარგში გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება გახადონ სკკპ 27-ე და საქართველოს კპ 27-ე ყრილობების გადაწყვეტილებების, მე-12 ხუთწლე-



დის, რესპუბლიკის მასწავლებელთა მე-6 ყრილობის დავალებათა კრებულში  
 ლიზაციის დიდმნიშვნელოვან რგოლად, განუხრელად იბრძოდნენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გარდაქმნისა და დაჩქარების განხორციელების, სწავლების ხარისხის შემდგომი ამაღლების, შრომითი აღზრდისა და მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის, საყოველთაო საშუალო განათლების კანონის განხორციელების, კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებელი თაობის აღზრდისათვის, ძალ-ღონე არ დაზოგონ ადგილულ სოციალისტურ ვალდებულებათა ხარისხიანად შესრულებისათვის.

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კომიტიის, საქართველოს აკაკი ცხავაძის კომიტიის გიუგოს და საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს კომიტიის აქტობრივი დადგენილება**

**ნორჩ გეოლოგთა მე-8 რესპუბლიკური შეკრება-შეჯიბრების ჩატარების შესახებ**

27 იანვარი 1987 წელი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, საქართველოს ალკე ცკ-ის ბიურომ და საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს კოლეგიამ დაადგინეს:

1. ჩატარდეს, ნორჩ გეოლოგთა მე-8 რესპუბლიკური შეკრება-შეჯიბრება 1988 წლის ივლისის თვეში ბორჯომის რაიონში.
2. ნორჩ გეოლოგთა მე-8 რესპუბლიკური შეკრება-შეჯიბრების ჩატარების ორგანიზაცია დაევალოს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს.
3. დამტკიცდეს ნორჩ გეოლოგთა მე-8 რესპუბლიკური შეკრება-შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა (დანართი 1).
4. დამტკიცდეს ნორჩ გეოლოგთა მე-8 რესპუბლიკური შეკრება-შეჯიბრების დებულება (თან ერთვის).
5. დამტკიცდეს ნორჩ გეოლოგთა მე-8 რესპუბლიკური შეკრება-შეჯიბრების ხარჯთაღრიცხვა.
6. დამტკიცდეს ნორჩ გეოლოგთა მე-8 რესპუბლიკური შეკრება-შეჯიბრების მოსამზადებელი ზონალური თათბირ-სემინარების, რესპუბლიკის რაიონებში ჩატარების განრიგი, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის, საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა



აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიის კათედრისა და საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტთან არსებულ ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს მეცნიერ გეოლოგთა მონაწილეობით (დანართი 3).

7. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასრ განათლების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამოგებას:

ა) 1987 წლის 20 მაისამდე ადგილებზე შექმნან ნორჩ გეოლოგთა მე-8 რესპუბლიკური შეკრება-შეჯიბრების საოლქო, საქალაქო და რაიონული საორგანიზაციო კომიტეტები;

ბ) აღნიშნულ ღონისძიებებში ფართოდ ჩააბან სკოლები, სკოლა-ინტერნატები, საბავშვო სახლები, სარაიონო, საქალაქო და საოლქო პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეები, სახლები და სხვა სკოლისგარეშე დაწესებულებები;

გ) ადგილობრივი პრესის საშუალებით სისტემატურად და ფართოდ გააშუქონ მასალები ნორჩ გეოლოგთა ლაშქრობების შესახებ;

დ) ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს ფართოდ გააშუქოს მასალები ნორჩ გეოლოგთა ლაშქრობების შესახებ;

ე) კონტროლი აღნიშნული დადგენილების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა), საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებას (ამხ. ა. ალავერდაშვილი) და საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს (ამხ. გ. აბესაძე).

კოლეგიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ნ. ვახტანგაძე


საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. მარბუვილიძე

საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს უფროსი ი. გოგინიძე

დანართი 1

ნორჩ გეოლოგთა მე-8 რესპუბლიკური შეკრება-შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა:

1. თვალჭრელიძე გ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აკად. აღ. ჯანელიძის სახელობის საქართველოს სსრ გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი (თავმჯდომარე)



2. გოგიტიძე ი. — საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს უფროსი

3. თალაკვაძე გ. — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე (თავმჯდომარის მოადგილე)

4. ხარატიშვილი მ. — საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი (თავმჯდომარის მოადგილე)

5. ზარქუა ე. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი

6. ალავერდიაშვილი ა. — საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგე

7. ჟღენტაი თ. — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორი

8. ვაშაძე ბ. — აღმოსავლეთ საქართველოს ძებნითი გეოლოგიური ექსპედიციის უფროსი

9. ხუტულაშვილი გ. — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში

10. ნიკოლავა ო. — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მხარეთმცოდნეობისა და ტურიზმის განყოფილების გამგე

11. ჯავახიშვილი შ. — საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგე, პროფესორი

12. დუდაური ო. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი, გეოლოგია-მინერალოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

13. ცხელიშვილი მ. — გეოლოგია-მინერალოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს გეოლოგიური პარტიის უფროსი, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის პედაგოგი

14. ბაიაშვილი თ. — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის გეოგრაფია-გეოლოგიის კაბინეტის გამგე

15. გელაშვილი თ. — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის გეოგრაფია-გეოლოგიის კაბინეტის მეთოდისტი

**დანართი 3**

**ნორჩ გეოლოგთა რესპუბლიკური და ზონალური თათბირ-სემინარების ჩატარების განრიგი:**

1. თბილისის ზონა — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე — მცხეთა, დუშეთი, კასპი, გორი, სავარეჯო, რუსთავი, თიანეთი

2. კახეთის ზონა — გურჯაანის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ბაზაზე — თელავი, ახმეტა, ყვარელი, ლაგოდეხი, წითელწყარო, სიღნაღი

3. ბოლნისის ზონა — ბოლნისის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ბაზაზე — მარნეული, ბოლნისი, დმანისი, თეთრი წყარო, წალკა

4. ბორჯომის ზონა — ბორჯომის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ბაზაზე — ორჯონიკიძე, ხაშური, ახალციხე, ასპინძა, ადიგენი

5. ქუთაისი-ტყიბულის ზონა — ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ბაზაზე — მაიაკოვსკი, ვანი, წყალტუბო, სამტრედია, ლეჩხუმი, ლენტეხი, ტყიბული, საჩხერე, ჭიათურა, ზესტაფონი

6. რაჭა-სამხრეთ ოსეთის ზონა — ცხინვალის საოლქო პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ბაზაზე — გორი, ცხინვალი, ლენინგორი, ჯავა, ხნაური, ონი, ამბროლაური

7. სამეგრელო-სვანეთის ზონა — ზუგდიდის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ბაზაზე — ზუგდიდი, წალენჯიხა, ცხაკია, გეგე-ქვორი, ხობი, მესტია

8. აჭარა-გურიის ზონა — ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ბაზაზე — ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედი, ხულო, შუახევი, მახარაძე, ლანჩხუთი

9. აფხაზეთის ზონა — სოხუმის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლისა და მოსწავლეებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ბაზაზე — გილო, ტყავრჩელი, გულრიფში, სოხუმი, გუდაუთა, ოჩამჩირე, ვაგრა

## დ ე გ უ ლ ე ბ ა

**გეოლოგიურ ლაშქრობებში გამარჯვებულ ნორჩ გეოლოგთა მე-8 რესპუბლიკური შეკრება-შეჯიბრების ჩატარების შესახებ**

ნორჩ გეოლოგთა მე-8 რესპუბლიკურ შეკრება-შეჯიბრებას ატარებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველო და ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე.

პიონერთა და მოსწავლეთა საკავშირო ტურისტულ სამხარეთმცოდნეო ექსპედიციის „სსრ კავშირი ჩემი სამშობლო“ მიმართულების — ბუნების საიდუმლოებებთან შესაბამისად.

**ნორჩ გეოლოგთა მე-8 რესპუბლიკური შეკრება-შეჯიბრების მიზანი და ამოცანები**

შეკრება-შეჯიბრების მიზანია ხელი შეუწყოს რესპუბლიკის მასშტაბით გეოლოგიის საფუძვლების და მასიური გეოლოგიური ლაშ-

ქრობების პრობაგანდას, სასარგებლო წიაღისეულის აღმოჩენის თანამედროვე მეთოდების გაცნობას, გეოლოგიურ ლაშქრობებში მიღებული ცოდნისა და ჩვევების შემოწმება-განმტკიცებას, ბუნების დაცვის, მისი რესურსების რაციონალურად გამოყენების და გარემოს გაჯანსაღების მიზნით სასარგებლო შრომითი საქმიანობის ფართოდ გაშლას.

### მონაწილეები

ნორჩ გეოლოგთა მე-8 რესპუბლიკურ შეკრება-შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების, სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებების, გეოგრაფიის, გეოლოგიის, მხარეთმცოდნეობის, ტურიზმისა და ალპინიზმის წრის წევრები, პიონერული რგოლები, რაზმები, რაზმეულები.

თითოეული გუნდი შედგება 4 მოსწავლის, 1 ხელმძღვანელისა (პედაგოგი) და გეოლოგისაგან. სასურველია, გუნდს ახლდეს განათლების რაიონული განყოფილების წარმომადგენელი ან კომკავშირული მუშაკი.

შეჯიბრების მონაწილეებმა უნდა იცოდნენ ტოპოგრაფიული რუკით, ტურისტული და სამთო კომპასით სარგებლობა, ქანების და ფართოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის გამოცნობა (ფერადი და შავი მეტალების მადნები, არამადნეული ნედლეულის და ა. შ.) უნდა შეეძლოთ: ქანთა წოლის ელემენტების განსაზღვრა (დაქანების კუთხე, დაქანების აზიმუტი, მიმართულების აზიმუტი), მარტივი ჰიდროგეოლოგიური დაკვირვების ჩატარება, შლინის გარეცხვა, ქანების და მინერალების განსაზღვრა და აღწერა.

გუნდს ამტკიცებს რაიონის განათლების განყოფილება (ადგილზე მოქმედი გეოლოგიური პარტიის ხელმძღვანელობასთან ერთად). გუნდი უნდა გამოცხადდეს ერთიანი საპარადო და სამუშაო ფორმით, სამკერდე ემბლემით (რომელზეც აღნიშნული იქნება რ-ის დასახელება).

ყოველმა გუნდმა საიმანდატო კომისიას უნდა წარუდგინოს შემდეგი საბუთები:

1. რაიონის განათლების განყოფილების ბრძანება გუნდის შემადგენლობისა და ხელმძღვანელობის შესახებ.
2. სამივლინებო ბარათი (სამივლინებო ხარჯებს გაიღებს ადგილობრივი რაიონული განათლების განყოფილება).
3. თითოეული მონაწილის სამედიცინო ცნობა ჯანმრთელობის შესახებ.
4. პატაკი (ანგარიში) განვლილი ორი წლის მუშაობის შესახებ; მოკლე ინფორმაცია ჩატარებული გეოლოგიური ლაშქრობების და ექსპედიციების შესახებ, თუ რა როლი შეასრულა გეოლოგიურმა ლაშქ-

ქობებმა მათი პროფესიის არჩევაში (მონაწილეთაგან რამდენი გააგრძელეს სწავლას გეოლოგიური სპეციალობით), რა პერსპექტივა ჰქვამათან გეოლოგიური ლაშქრობების ჩატარებას.

## სექციური მუშაობა

შეკრების პროგრამით გათვალისწინებულია:

### 1. ანგარიშის დაცვა

თითოეულმა გუნდმა უნდა წარმოადგინოს შეკრებებს შორის ორი წლის მუშაობის ანგარიში (შესრულებული ადგილზე მოქმედ გეოლოგიურ პარტიებთან ერთად).

ანგარიშის დაცვას აჯამებს კომისია, რომელიც შედგება გეოლოგიის, განათლების განყოფილების და ალკკ ორგანიზაციის წარმომადგენლისაგან.

ანგარიშს იცავს მოსწავლე. დაცვა გრძელდება 5-10 წთ. ანგარიში არ უნდა აღემატებოდეს 10-12 გვერდს.

ანგარიშში უნდა აღინიშნოს:

- გუნდის დასახელება (ნორჩ გეოლოგთა ექსპედიციის, პარტიის)
- მონაწილეთა რაოდენობა (ექსპედიციაში, პარტიაში)
- ხელმძღვანელის გვარი, სახელი, მამის სახელი
- ექსპედიციის მიზანი, გეოლოგიური დავალება
- იმ ორგანიზაციის დასახელება, ვისგანაც გეოლოგიური დავალება მიიღო.

- გეოლოგ-კონსულტანტის გვარი, სახელი, მამის სახელი
- ექსპედიციის მუშაობის დრო, ადგილი
- გეოლოგიური გამოკვლევების მეთოდოლოგია
- შესრულებული სამუშაოების მოცულობა
- როგორი შეფასება მიიღო მათმა მუშაობამ იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელობისაგან, ვისი დავალებითაც სამუშაოები სრულდებოდა.

დაცვის დროს უნდა წარმოადგინონ რუკები, სქემები, სურათები, საველე დღიურები, ქანების და მინერალების ნიმუშები.

შენიშვნა: — ყიუთი აჯამებს დაცვის შედეგებს და აჯილდოებს საუკეთესოებს.

### 2. გეოლოგიური გამოფენა

შეკრების მონაწილე გუნდს საგამოფენოდ შეუძლია წარმოადგინოს შეკრებებს შორის ჩატარებული მუშაობის ამსახველი საილუსტრაციო მასალა:



— გუნდის მუშაობის ამსახველი პლანშეტი (სურათები, რუკები, სქემები, ჩანახატები ტექსტთან ერთად)

— საველე ლაშქრობების დღიურები

— ნორჩ გეოლოგთა მიერ დამზადებული ნაკეთობანი და გრაფიკული მასალა (რუკები, მარშრუტების სქემები, გეოლოგიური ფოტოსურათები).

ყველა საგამოფენო მასალა შესრულებული უნდა იყოს სუფთად და აკურატულად.

საუკეთესო საგამოფენო მასალებს შეაფასებს ჟიური.

შენიშვნა: მუშობლიური მხარის ამგებელი ქანების და მინერალების ნიმუშები ან ნაკეთობანი არ შეფასდება.

### 3. კინო და ფოტომასალა

შეკრებაზე შეიძლება წარმოდგენილი იქნას ნორჩ გეოლოგთა მუშაობის ამსახველი ფოტომასალა, სლაიდები ან კინოფილმი (16 მმ კინოფირზე).

ფოტოკონკურსში მონაწილეობს როგორც გუნდი, ისე ცალკეული მონაწილე.

### 4. შეჯიბრი გეოლოგიურ სახეობებში

1. გეოლოგიური მარშრუტი — 30 ქულა, 120 წთ.
2. მინერალოგია და პეტროგრაფია — 20 ქულა, 45 წთ.
3. ჰიდროგეოლოგიური გამოკვლევები — 15 ქულა, 40 წთ.
4. შლიხური დასინჯვა — 10 ქულა, 15 წთ.
5. რადიომეტრიული გამოკვლევა — 15 ქულა, 45 წთ.

გუნდურ ჩათვლასთან ერთად შეკრების მონაწილეთა შორის ტარდება შეჯიბრი პირად პირველობაზე: შლიხურ დასინჯვაში, მინერალოგია-პეტროგრაფიაში.

შეჯიბრების დაწყების წინ მონაწილეთათვის გეოლოგები ატარებენ კონსულტაციებს.

შენიშვნა: შეჯიბრების ამა თუ იმ დავალების შესრულებაზე დახარჯული დროის რაოდენობა (საკონტროლოს ფარგლებში) საბოლოო შეფასებაზე არ მოქმედებს, მაგრამ ერთნაირი ქულების შემთხვევაში ადგილების განაწილებისას უპირატესობა ეძლევა იმ გუნდს, რომელმაც ნაკლები დრო მოახდინა დავალებების შესრულებას.

თავისუფალ დროს მონაწილეთა გასართობად საჭიროა მომზადდეს ნომერი მხატვრული თვითმოქმედებიდან.



## დაჯილდოება



გამარჯვებული გუნდი გამოვლინდება გეოლოგიურ შეჯიბრებაში გამოფენასა და სექციებზე გამოსვლებში მიღებული ქულების ჯამის მიხედვით. შეჯიბრებაში გამარჯვებულები (როგორც გუნდი ისე ცალკეული მონაწილე) ჯილდოვდებიან დიპლომებით, სიგელებით, ფასიანი საჩუქრებით. ჯილდოს ერთ-ერთ სახედ დაწესებულია გამარჯვებულის „მცირე აკადემიაში“ ჩარიცხვა ან საქართველოს, ნორჩ გეოლოგთა ნაკრებ ჯგუფში შეყვანა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ნორჩ გეოლოგთა საკავშირო შეკრება-შეჯიბრებაში.

შეკრების ადგილიდან მონაწილეთა გამგზავრება მატარებლით.

**ნორჩ გეოლოგთა მე-8 რესპუბლიკური შეკრება-შეჯიბრების**

### დებულების დანართი

#### I გეოლოგიური მარშრუტი

ორმა მონაწილემ უნდა გაიაროს მარშრუტი სამი ან ორი აზიმუტით, აღწეროს და ჩახატოს, ერთი ბუნებრივი გაშიშვლება. გაზომოს ქანთა წოლის ელემენტები და განსაზღვროს სასარგებლო წიაღისეულის ორი ნიმუში.

შეჯიბრების მონაწილეებს სტარტზე დაურიგდებათ საველე დღიური და ადგილის ტოპოგრაფიული გეგმა, რომელზედაც დაჩანილია მარშრუტის თითოეული სვლის აზიმუტი და მანძილი მეტრებში. მონაწილენი ვალდებული არიან მიამაგრონ ტოპოსაფუძველს მარშრუტის თითოეული სვლა, გაშიშვლება და დაკვირვების წერტილი. საკონტროლო პუნქტში მიეცემათ სააღრიცხვო ბარათი ქანების წოლის ელემენტების გაზომვების, ფინიშზე კი სასარგებლო წიაღისეულის ორი ნიმუში და სააღრიცხვო ბარათი მათი განსაზღვრის შესატანად.

შეჯიბრების სახეობაში შეფასდება:

1. საველე დღიურის შედგენა — 12 ქულა
  2. სვლის გეზის და გაშიშვლების მიამაგრება ტოპოსაფუძველზე — 7 ქულა
  3. სასარგებლო წიაღისეულის ნიმუშების განსაზღვრა — 6 ქულა
  4. ქანთა წოლის ელემენტების გაზომვა საკონტროლო პუნქტზე — 5 ქულა
- საჯარიმო ქულები ეწერებათ:

1. საველე დღიურის შედგენის დროს, დაშვებული შეცდომებისათვის



153-5-7

ა) მარშრუტის საწყისი წერტილის არასწორი განსაზღვრისათვის — 1 ქულა

ბ) გეოლოგიური ობიექტების და რელიეფის დამახასიათებელი ფორმების არასრული აღწერისათვის — 1 ქულა.

გ) ქანების არასწორი განსაზღვრისათვის — 1 ქულა

დ) ჩანახატების მასშტაბის და გარემოს გაგნების უქონლობისათვის — 1 ქულა

ე) დღიურის უსუფთაო შედგენისათვის — 1 ქულა

ვ) მარშრუტის საბოლოო წერტილის არასწორი განსაზღვრისათვის — 2 ქულა

2. ტოპოსაფუძველზე მარშრუტისა და დაკვირვების წერტილის დატანაში დაშვებული შეცდომებისათვის:

ა) მარშრუტის სელა-გეზის არასწორი დატანისათვის — 2 ქულა

ბ) რუკის უსუფთაო შევსებისათვის — 1 ქულა

3. სასარგებლო წიაღისეულის ნიმუშების განსაზღვრაში დაშვებული შეცდომებისათვის:

ა) საბადოსა და სახალხო მეურნეობაში მათი გამოყენების მიუთითებლობისათვის — 1 ქულა

4. წოლის ელემენტების განსაზღვრაში დაშვებული შეცდომებისათვის — 1 ქულა

### II. მინერალოგია და პეტროგრაფია

ამ შეჯიბრებაში თითოეული გუნდის მონაწილეს განსაზღვრისათვის ეძლევა 3 მინერალი და ორი ქანის ნიმუში, რომლებიც განისაზღვრება დამხმარე საშუალებებით (მოოსის სკალა; მუავა და სხვა) განსაზღვრის ჩანაწერები შეაქვთ სპეციალურ სააღრიცხვო ბარათში, რომელიც შეჯიბრების მსაჯებს გადაეცემათ.

საჯარიმო ქულები ეწერებათ:

1. მინერალის და ქანის განსაზღვრაში დაშვებული შეცდომებისათვის.

2. ქანებისა და მინერალების სახელწოდების, მათი ფიზიკური თვისებების და მინერალოგიური შედგენილობის არასწორი განსაზღვრის შემთხვევაში.

3. მინერალთა ფიზიკური თვისებების და ქანთა მინერალოგიური შედგენილობის არასრული აღწერისათვის.

### III. ჰიდროგეოლოგიური დაკვირვებები

შეჯიბრების ამ სახეობაში გუნდიდან მონაწილეობს 2 მოსწავლე, რომელთაც უნდა განსაზღვრონ:

1. მდინარის ხარჯი ტივტივას მეთოდით და გააკეთონ ჩანაწერები სპეციალურ სააღრიცხვო ბარათში.

## 2. წყაროს დებიტი.

საჯარიმო ქულები ეწერებათ:

1. წყაროს დებიტის განსაზღვრაში დაშვებული შეცდომებისათვის.

### IV. შლიხური დასინჯვა

შლიხური დასინჯვის შეჯიბრებაში გუნდიდან მონაწილეობს:

1. მოსწავლე, რომელმაც უნდა გარეცხოს ნიმუში ნაცრისფერ შლიხამდე, შიგ ჩართული პირობითი „მინერალების“ შენარჩუნებით, შედეგების ჩაწერა ხდება შლიხური დასინჯვის სპეციალურ სააღრიცხვო ბარათებში, რომლებიც შეჯიბრების მსაჯებს ბარდება.

ჩართული პირობითი „მინერალების“ შენარჩუნების გარდა, ოთხბალიანი სისტემით ფასდება გარეცხილი შლიხის ხარისხი (ფრიადი, კარგი, დამაკმაყოფილებელი, არადამაკმაყოფილებელი).

გარეცხილი შლიხის ფრიადი და კარგი ხარისხი მხედველობაში მიიღება თანაბარი ქულებისა და დროის შემთხვევაში ადგილებიკ-განწილების დროს.

საჯარიმო ქულები ეწერებათ:

1. ჩართული პირობითი „მინერალების“ დაკარგვისათვის.
2. შლიხის გარეცხვაში მიღებული არადამაკმაყოფილებელი შედეგებისათვის.

### V. რადიომეტრიული გამოკვლევა

შეჯიბრების ამ სახეობაში თითოეული გუნდიდან მონაწილეობს ორ-ორი მოსწავლე. შეჯიბრის ამოცანას წარმოადგენს: რადიომეტრის ჩართვა, მისი მუშაობის რეჟიმის შემოწმება; მოცემულ უბანზე გამამოსხივების ინტენსივობის ანათვლების აღერა, რადიაქტიური ანომალიების ეპიცენტრის განსაზღვრა და იზოგამების ბარათების შედგენა; იზოგამების გეგმის შედგენა და ყველა ჩანაწერი შედის რადიომეტრიული გამოთვლების სპეციალურ სააღრიცხვო ბარათებში.

საჯარიმო ქულები ეწერებათ:

1. განსაზღვრავ წერტილებში გამამოსხივების ინტენსივობის არასწორი განსაზღვრისათვის.
2. ანომალიის ელემენტების არასწორი განსაზღვრისათვის.
3. იზოგამების გეგმის არასწორი შედგენისათვის.
4. სააღრიცხვო ბარათების უსუფთაო გაფორმებისათვის.

აღნიშნული დებულება ვრცელდება პირად შეჯიბრებაში მონაწილეებზედაც.

РЕШЕНИЕ КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА  
ПРОСВЕЩЕНИЯ ГССР



ОБ УТВЕРЖДЕНИИ СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ  
ОБЯЗАТЕЛЬСТВ УЧРЕЖДЕНИЙ СИСТЕМЫ  
МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР  
НА 1987 ГОД

27 января 1987 года

Коллегия решает:

Утвердить проект социалистических обязательств учреждений системы Министерства просвещения Грузинской ССР на 1987 год (прилагается).

(прилагается)

Председатель коллегии,  
Министр Н. Ш. Васадзе

СОЦИАЛИСТИЧЕСКИЕ ОБЯЗАТЕЛЬСТВА УЧРЕЖДЕНИЙ  
